პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯი

პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე
ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

√123

პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში და რეგისტრირდება აპლიკანტად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში. სარეგისტრაციო სისტემაში დაცულია აპლიკანტის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება და სისტემაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

STUDY HARD!

+ x ÷

კოლეჯი აწარმოებს აპლიკანტების ჩარიცხვას პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვისას, კოლეჯის მიერ პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვნობის შემთხვევხელშეკრულებაა ში მის კანონიერ წარმომადგენელთან იდება სასწავლო.

პირს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ბრძანების გამოცემის, მასთან ხელშეკრულების გაფორმებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის შემდეგ

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს მისი ინტერესების შესაბამისი ხარისხიანი განათლება, აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებების შეზღუდვა, თუ იგი არ ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მაღალი ხარისხის სწავლების, დისციპლინისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ან არ არის მიმართული ამ წესით დადგენილი კოლეჯის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო საქმიანობის აღკვეთისათვის.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს

შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი 2 წლის ვადით;

მობილობით გადავიდეს სხვა სასწავლებელში ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

.პროფესიული სტუდენტის შეფასება მის მიერ საგნმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურების პროცესია. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

.განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია პროფესიული სტუდენტის დახმარება უკეთესი მიზოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის პროფესიული მასწავლებლის გადაწყვეტილებით შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას მოდულით განსაზღვრული შესრულების კრიტერიუმების შესაბამისად. ის ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

სწავლის შედეგი დადასტურდა;

სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დადასტურდა. პროფესიულ სტუდენტს ზემოაღნიშნული უფლების რეალიზების საშუალება ერთი სწავლის შედეგის ფარგლებში ეძლევა მხოლოდ ორჯერ.

ორივეჯერ უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს მოდული.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს შეფასების შედეგის გაცნობიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში აპელაციის წესით ერთჯერადად გაასაჩივროს აღნიშნული შეფასება

შესრულების მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალური ან ციფრული სახით დადასტურებას..

პროფესიული სტუდენტი, რომელიც სრულად ვერ ითვისებს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა მოდულს და წყვეტს სწავლას, უფლებამოსილია მოითხოვოს სერთიფიკატი განვლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება
პროფესიული საგანმანათლებლო
სტანდარტით გათვალისწინებული
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-
3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი
კვალიფიკაციის მინიჭებით, დიპლომისა
და დიპლომის დანართის გაცემით.

დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მოიძიოთ
კოლეჯის ვებ გვერდზე:

Mscollege.ge

კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მისამართია:

mscollege.edu@gmail.com

შპს მარნეულის სამედიცინო კოლეჯის მისამართია:

ქ.მარნეული 26 მაისის ქუჩა 80

.